



ნომერი
№ 154
საბჭოთა
16/11 57
1


უღანაკარგორ ეიღუს უხუი მოსაჰალი

ტოტზე ჩამომსხდარი ბელურები დასცქერიან სოფლის ბიჭებს და ნიშნის მოგებით ამბობენ:

— შარშან ამ ბავშვებმა მარცვალის არ დაგვიტოვეს მინდვრად, ისე აკრიფეს დანაკარგი თავთაგება. წელს კი ამათაც ჩაეფუშათ გეგმა, — კოლმეურნეებმა უღანაკარგოდ აიღეს უხვი მოსაჰალი!

ს ი ა ნ ბ ი

№ 12 თბილისი ივნისი 1951 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“ ჯული XXVIII ფასი 2 მან.



ქალიშვილი

ქალიშვილი



საკანონმდებლო ორგანოების, ლიბერალ-კონსერვატიული და თანამართლებელი და სხვ. და სხვ. მისთვის საინტერესოების ხიზობაში

პაილოფტს მაწანწალობა მოგებრდა:
— მისტერ, რაიმე სამუშაო ხომ არ გეძებთ ჩემთვის?
მისტერმა ბოროტად გადახედა მთხოვნელს და გაეცინა. პაილოფტი სირბილით განშორდა მას და პოლიციელთან შეჩერდა.
— ბატონო, — დაიწყო მან, — ქენით სიკეთე და მითხარით რა გზით შემიძლია ვიშოვო სამუშაო...

პოლიციელმა კეტი მოუქნია:
— იდიოტურ კითხვებს ნუ მაძლევ, მაწანწალა!
პაილოფტმა გზა განაგრძო.
უოლ-სტრიტზე ერთ-ერთ ბანკში შევიდა — კიბიდან გადმოუძახეს. ატე-ლიე „ასტორიდან“ კინწისკვრით გამოავადეს, საქველმოქმედო საზოგადოება-ში ძალი მიუსიეს...

ერთ საღამოს პაილოფტი ქალაქის პარკის ბნელ ხეივანში დადიოდა და ფიქრობდა:
— მე სამუშაოს შოვნის ყველა პატიოსანი საშუალება მოვისინჯე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მეტი გამოსავალი არაა. სხვა გზით უნდა ვიმოქმედო...

სწორედ ამ დროს კარგად ჩაცმულმა მამაკაცმა გვერდით ჩაუარა. პაილოფტი მასთან მიიქრა და ყელში ხელები წაუჭირა... რამდენიმე წამის შემდეგ პაილოფტის ხელში აღერსიანად შრიალებდა ქალაქის დოლარები.

— ახლა უკვე ვიცი, როგორც უნდა ვიმოქმედო! — ბუტბუტებდა ქუჩაში მიმავალი პაილოფტი. იგი შეჩერდა მაღაზიასთან, სადაც ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრები იყიდებოდა.

— მომყიდეთ რევოლვერი! — უთხრა გამყიდველს.
— როგორს იხეობთ? — დაფაცურდა გამყიდველი. — ოფიციალური დარბაზობისა, თუ შინამშობარებისათვის? გვაქვს საუკეთესო საოჯახო რევოლვერები. აი, ეს კი სპეციალურად სიყვარულის ამოცხადების შემთხვევებისათვის გახლავთ გამომზადებული.

პაილოფტმა ცხოვრებაში მოსალოდნელი ყოველგვარი შემთხვევისათვის საჭირო დამზარების პატარა კოლექცია შეარჩია და გზა განაგრძო. გამყიდველები მოკრძალებით უთმობდნენ გზას. მან გზაჯვარედინზე დაინახა ის პოლიციელი, რომელმაც ცემა დაუპირა მხოლოდ იმისათვის, რომ პაილოფტმა ჰკითხა სად შეიძლება სამუშაოს შოვნაო, იგი თამამად მივიდა წესრიგის დამცველთან და ჰკითხა:

— აქ ახლომახლო სად შეიძლება ბინის გატეხვა და ქურდობის ჩადენა? პოლიციელს სახე მომხიბლავი ღიმილით გაუბრწყინდა, პაილოფტს თითო დაემუქრა და მახლობელ ორსართულიან სახლზე მიუთითა.

... პაილოფტს მეკარემ გაულო კარი.
— მე რომელიმე დირექტორი მინდა ვნახო! — უთხრა მან და რევოლვერების კოლექცია უჩვენა.

— კიბის დასასრულს... დიდი კარებია... იქ... მუშაობს დირექტორი...
— წაილულულა მეკარემ.

პაილოფტმა პირველად ხელში მოხვედრილი დამბაჩა მეკარეზე მოსინჯა და დირექტორის კაბინეტისკენ გასწია.

მოხუცი საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაც ქალაქებს არჩევდა.
— ვინა ხართ თქვენ? — ჰკითხა პაილოფტმა.
— მე დირექტორი ვახლავართ.
— გასაგებია! — ჩაილაპარაკა მან.

ხუთი გასროლა და ყველაფერი დამთავრდა: მოხუცის საათი, ფული და ზოგი რამ ძვირფასეულობიდან პაილოფტის ჯიბეში გადაბარგდა.

კიბეებზე მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა.
— პოლიცია! — გაიფიქრა მან და კარებში ოცი ტყვია გაისროლა. — როგორც მსმენია, ასეთი შემთხვევების დროს უმჯობესია სახლს ცეცხლი წაუკიდო, კვამლის ფარდას ამოფარო და საერთო პანიკის დროს მიიმალო!

პაილოფტმა ყოველი შემთხვევისათვის დასცალა ყველა ვაზნა და რაკი დარწმუნდა, რომ ბილიოთეკა და სურათები იწვის, გულხელდაკრეფილი დაელოდა პოლიციელებს.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — შედრული საღმის მიცემით უთხრა პოლიციის კომისარმა. — ბრალი გედებათ მკვლელობაში, ძარცვასა და ხანძრის გაჩენაში.

პაილოფტი ცეცხლმოკიდებულ სახლიდან ქუჩაში ხელიხელგაყრილი გაიყვანეს, საუკეთესო ავტოში ჩასვეს და ცენტრალურ საპრობილემში წაიყვანეს. გზაში პოლიციის კომისარმა პაილოფტთან, რასაკვირველია, მეგობრული საუბარი გააბა, შესთავაზა ბოთლით ვისკი და სიგარეტით გაუმასპინძ-

ლდა. პაილოფტი დარწმუნდა, რომ მის წინ ახლა გადაიშალა ახალი პორი-ზონტი: ის გახდა პანგსტერი და, მუშასადამე, ამერიკელი საზოგადოების საპატიო წევრი.

(იხიეთ პაილოფტი კომისარმა კარებამდე მიაცილა.)
— მაპატიეთ, — უთხრა მან, — ჯერჯერობით არ შემიძლია უკეთესი ადგილი მოგცეთ. ხვალ კი გადავიყვანთ კამერა-ლუქსში, რომელსაც საუკეთესო აბაზანა და სხვა მოწყობილობაც აქვს. დღეს ამ ოროთანიან კამერაში მოგიხდებით ღამის გათევვა... საუბრეს სად იხეობთ? აქ, თუ ჩვენთან მობრძანდებით — ოფიცერთა სასადილოში? ჩემი ოფიცრები დიდად დავალებული დარჩებიან, თუ მოწყალეხს გაიღებთ მათს გასაცნობად... — დილით სავსებით ახალი ტანსაცმელი, ქუდი და ლაქის ფეხსაცმელები მიართვეს. როგორც კი გაპარსა პაილოფტი პარკიანხრამა, კომისარი შევიდა და უთხრა, რომ საუ-

ზმე მზადაა. სასადილოში მას პოლიციის ოფიცრები გააცნეს, რომლებმაც სადილობამდე სიამოვნებით გაატარეს მასთან დრო, ღვინის სმვაში გუმინდელ შემთხვევას იგონებდნენ.

შემდეგ იწვეს შემოსვლა სტუმრებმა, რომლებსაც პაილოფტი ახალ კამერაში ღებულადა.

— თქვენი გუმინდელი გმირობის ამბავი უკვე შტატების ყველა ქალაქს მოედო! — უთხრა იმ ქვეყნის უდიდესი გაზეთის გამომცემელმა. — ის შემთხვევა კი, რომ მეკარე მოპკალით, თქვენს ნერვიულობას ადასტურებს და სასამართლოსათვის შემამსუქებელ გარემოებას წარმოადგენს! თქვენ ჩემი იურისტები უფასოდ დაგიცავენ!

სასამართლოს სხდომაზე მთელი იმ ქვეყნის საუკეთესო საზოგადოება ესწრებოდა.

— მისტერ პაილოფტ! — წარმოთქვა მოსამართლემ. — მე გადაწყვეტიე, რომ თქვენი საქმე რამდენიმე ხნით გადაიდოს. რამდენადაც შემიძლია ვანვსაჯო, ამ დღეებში თქვენ სროლასა და ხანძართან დაკავშირებით დიდი ნერვიული ბრძოლა განიცადეთ. უსათუოდ კარგად უნდა დაისვენოთ!..

კორესპონდენტები სამოთხიან კამერა-ლუქსში განუწყვეტელი დადიოდნენ, რომ პაილოფტთან ინტერვიუსათვის მიეღწიათ. ბიზნესმენებმა თავიანთი პროდუქციის რეკლამაზე ხელისმომწერისათვის პაილოფტი დიდთანხიანი ჩეკით დაასაჩუქრეს. სახელგანთქმულმა აქციონერთა საზოგადოება „განგსტერების უფლებათა დაცვა“ პაილოფტი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ წამოსწია.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო საქმის მოსმენა. სხდომა ორ თვეს გაგრძელდა. პაილოფტს ხუთი ბრალდება წაუყენეს: ხანძრის გაჩენა, უკულტურო მოქმედება (მეკარის მკვლელობა, ვინაიდან ნამდვილი ჯენტლმენი არასოდეს არ მიაქცევს მსახურს ყურადღებას), ძარცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა (სროლა) და დირექტორის მკვლელობა.

პროცესი აბნეულ-დაბნეული აღმოჩნდა. ქვეყნის ყოველი მხრიდან იწვევდნენ მოწმეებს. სხდომა ისე ძალიან გაკვირვდა, რომ ბოლოს და ბოლოს პაილოფტმა სასამართლოს განუხცადა:

— ჯენტლმენებო! გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ ამის შემდეგ არ შემიძლია რეგულარულად დავესწრო თქვენს სხდომებს. ძალიან ბევრი საქმეები მაქვს. როდესაც შევძლებ რამდენიმე წუთის შერჩევას, თქვენ, რა თქმა უნდა, სავსებით შეგიძლიათ გამისწოროთ ანგარიში. მე, ყოველ შემთხვევაში, ყოველგვარი წვრილმანისადმი დიდ ინტერესსა და ყურადღებას გამოვიჩენ! გულ-ბაი!

იმის შემდეგ, რაც პაილოფტმა შეწყვიტა სასამართლოს სხდომებზე დასწრება, პროცესის წინმსწავლობა უფრო შენედა.

ბრალდება ხანძრის გაჩენისა უარყოფილ იქნა, ბრალდება გაძარცვისა — მოეხსნა, მეკარისა და დირექტორის მკვლელობა — ნერვიული რეფლექსებით აიხსნა. რაც შეეხება წესრიგის დარღვევას (სხვადასხვა ყალბის იარაღით სროლის ატეხა), ეს შეხედულება არ გაიზიარეს: სასამართლო მაგალითად თვლის, რომ სროლა სწორედ იძლევა წესრიგის გარანტიას, ღუმილი კი ყოველთვის საეჭვოა.

ამას გარდა, გადაწყდა აუნაზღაურდეს პაილოფტს ხანძართან დაკავშირებით რევოლვერების დაკარგვითა და სროლის დროს ვაზნების დახარჯვით გამოწვეული ზარალი. საქმე დასადასტურებლად ფედერალურ სასამართლოს გადაეცა, იქიდან კიდევ სხვაგან გაიგზავნა და... დღემდე გაურკვეველ ადგილას ინახება.

ამასობაში პაილოფტი განაგრძობს „განგსტერების უფლებათა დაცვის“ საზოგადოების ხელმძღვანელობას, ითვლება ნიუ-იორკის მსხვილ ფინანსისტთა ახალი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლად და ამ დღეებში სენატორად აირჩევენ.



ქანსადი კაცის საგზურში

ერთ მშვენიერ დღეს... დიახ, მხოლოდ მშვენიერი შეიძლება ეწოდოს იმ გამოსასვლელ დღეს, როცა გვიღობა ლაბურს ქაბუკრმა ხალისმა ჩასტურულა:

—ახლა რას აბრებ? ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაამთავრე, სადოქტორო დისერტაციის მასალები უკვე სისტემაში მოიყვანე, სანატორიუმის საგზური შეკვეთილი გაქვს, საკუთარი მანქანა ეზოში გიციდის, აღმე და ავარაკზე წასვლის წინ მეგობარ ავრონომს ეწვიე სოფელში.

გიგემ ქაბუკურ ხალის დაუჯერა. აი, უკვე საქესთან ზის და თავის მანქანას მიაგულვებს, აი, უკვე გომბორის ქედს გადასცდა, დაღმართზე დაეშვა, სოფლები გვიარა და ალაზის ველზე გაიჭრა.

იგი კმაყოფილია, აღტაცებული, პირდაპირ მოხიბლულია—თვალწინ ზღაპრულ სანახაობად იშლება ბუნების პოეტური კონტრასტები, მათ შორის კი ორი მძაფრი ფერი: ვენახების სიმწვანე და ყანების ოქროსფერი ბიბინი.

მაგრამ მართკ „მშრალი პეიზაჟები“ როდი იზიდავს ლაბურს. მას ის ზობლავს ნიავს შორიდან მწყობრი სიმღერა რომ მოეპყვას, კომპანიების რიტმული გუგუნი, ყანის შარბურთი, გზებზე გაქმული ადამების მწყობრები ხიბლავს.

პოეტური ბუნების კაცია, მაგრამ განუყენებულ იდილიას კი არ ხედავს საკომპერნეო სოფლის ამ რიტმულ მაჯისცემაში. ახლა, როცა მოსავლის აღება გაბალებული, სოფელი ბრძოლის ველს აგონებს: მკა, ლუწვა, ხორბლის დახარისხება, პურის ჩაბარება, ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ფუსფუსი—ერთ მთლიან სიმფონიად მოსდებია ამ თვალწინდელ ველებს, კორდებსა და გზებს. ეს სიმფონია გულს უხარებს ლაბურს, რაღაც ნაცნობი და მშობლიური იდილებს, იზრდებდა, შუქივით ღებდა მის გულში.

ანდა რომელი თქვენგანის გულს არ აავსებს ეს შუქი სოფლად, როცა ამ ზოგა მოსავალს შეხედავთ, ამდენ ხალისსა და სიხარულს რომ იგრძობთ?

აი, დიდ გზატყვილზე ურმების გრძელი ქარავანი გამოჩნდა. ეს საკომპერნეო ალალია. მანქანების მწყობრი მტვრის აყენებს და ურმებს უკან იტოვებს, მაგრამ ასეა თუ ისე—მთელი გზა დაღალს სჭირდება და ლაბური იძულებულია თავისი მანქანა შეაჩეროს:

„პირველი განაღვიპური—სახელმწიფოს“. —კითხულობს წინა ურმზე. „მეორე სამშობლოს მალაღმარისხოვანი მარცვლეული“. —განაგრძობს მეორე ურმზე და უნებურად იზვიარებს ამ ამალელებულ ლოზუნგებს. ახლა ლაბური უკვე ნანობს, რომ სადაღაც შტაპიან კურორტზე მიდის დასასვენებლად. ის საჭიროდ სთვლის გამოისაუბროს კოლმეურნეებს:

—გამარჯობა, მშობილო, —ეუბნება ის ქალბატონურულ მეურმეს, —როგორი მოსავალი გაქვთ?

—გამარჯობა, აუცი არ ითქმის, ისეთი მოსავალი გვაქვს—მტერს რომ თვალს დაუბრმავეებს და ჩვენ კი გულს გაგვიხარებს!

—შენ ვეა თქვი და!—ეხმარება მეორე ზრმიდან მოლიმარი კოლმეურნი.—წლელდა მოსავალი—ქურტულზე მეტი გვაქვს, კვლავისათვის ახალი საწყობები თუ არ ავაგეთ, პური ცისქვეშ დაგვრჩება!

—დიახ, დიახ,—გულში იმეორებს გვი, —საქართველომ საკუთარი პური თუნდა იცხოვროს*, ეს მიითთება უკვე ცხოვრებაში ტარდება*. მან კმაყოფილი თვალი გააყოლა გაბმულ ალაღს და გზა განაგრძო.

დიდი გზის გადასახვევზე მას ახალი სურათი დახვდა: ხორბლით საყვ ტომრებით დატვირთული დიდი ავტოკარი გახრებულა. მანქანის გვერდით, მწვანეზე ზის შოფერი და მარჯვენა მკლავს თეთრი მისურით იხვევს, მისურაში სისხლი მოეონავს. შოფერი სახეს იკმუნის და კბილებს აღრენს.

—რა დაგემართათ?—მიმართავს ლაბური და მანქანიდან გადმოდის. ამავე წუთში შემთხვევის ადგილზე ჩერდება პატარა ორთვალა, იქიდან ლურჯ სანქსამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი გადმოდის და შოფერს მიმართავს:

—ასე უზომოდ როგორ შეიძლება დატვირთვა? ძალიან დაგიშავდა მკლავი? მიივინე. ო, სისხლი მოგდის, საექიმო დახმარება საჭირო... სარდიონ,—უთხრა მან ორთვალაზე მჯდომ ქაბუკს,—ახლავე პუნქტში წაიყვან, შეუხვევენ და დააწვენენ! შენ ნუ გეშინია,—მიმართა ისევ ხელდაზიანებულ შოფერს,—ამ ხორბალს მე ჩავაბარებ, მანქანას თვითონ წაიყვან. რამდენი რუის გააკეთე? ორი? ჰო, სამ რუისსაც მე მოვასწრებ, ნუ გეშინია.

შოფერს უარი არ გაუვიდა: ქალმა თვითონ მოკიდა ხელი და თითქმის ძალით ჩასვა ორთვალაში.

—რა გენაღვლება?—ეუბნებოდა ის,—დღეს ჩემი ტრაქტორი მაინც არ მუშაობს, მანქანას მე წაიყვან, ხელ კი, მართალია ახალ ნაკვეთზე გამყავს კომპანი, მაგრამ პურის გადასაზიდად ვინზე გამოჩნდება. წადი, წადი!—ბრძანების კილოთი მიმართა ბოლოს ქაბუკს, ორთვალა დაიძრა და ქალი მანქანის საჭეს მიუჯდა.

—უკაცრავად... თქვენ...—ლულულდით მიმართა ლაბურმა ქალს, რომელმაც კობტა თავსაფრიდან გადმოჟანტული შავი კულულების გასწორება დაიწყო. ქალმა მხოლოდ ახლა დაინახა უცნობი კაცი. ოდნავ შეკრთა, დაინხა და თითქმის შევიწყლებით უთხრა:

—ვინ ბრძანდებით? საიდან?

—თბილისიდან გასლავართ, ისე, მეგობარ ავრონომთან მოვიდიოდი და...

—და ამ უსიამოვნო ამბავს კი წაწყდით, არა? საწყალი, ტომრები დაზავებია, და მარცვალი რომ არ დახნოდა, ისე შეუწყლებია ხელი, რომ მკლავი დაზიანებია. სამწუხაროა, ახლა ისეთი გახურებული მუშაობა გვაქვს... არ ვიცი ვინ შესცვლის...

ლაბურს ისე დაემართა, როგორც რომანებში ხდება ხოლმე: ქალის მოხიბლავმა სილამაზე, ხმაზე, მგზნებარე, კეთილმა თვლებმა, მტკიცე ნებისყოფამ და ენერგიამ მთლიანად დაიპყრო მისი არსება...

—საკვირველია,—ფიქრობდა ის,—იმ შტამიან კურორტზე რა უნდა ნახოს კაცმა ამის უკეთესი?

—მეზობელ კოლმეურნეობასთან შეჯიბრება გვაქვს,—განაგრძო ისევ ქალმა,—ასეთ დროს დაკრეული შოფერის მწყობრიდან გამოსვლა—სამწუხაროა. მე, როგორც ბრძოლის, ყველაზე მეტად მეხება ეს... არ ვიცი ვინ შესცვლის...

—მე შეეცვლი,—მტკიცედ მიუგო ლაბურმა,—პირობას გაძღვეთ, რომ მოსავლის აღების დამთავრებამდე ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. მანქანის მართვა კარგად ვიცი და თუ ამით თქვენ დაბრკოლებას ავაცილებთ...


—მართლა?—მომჯადობებელი ღიმილით უთხრა ქალმა,—თქვენ, ალბათ, ხუმრობთ, მაგრამ მაგ ხუმრობაშიც კეთილშობილი არაია,—ენახოთ...

და მან ხორბლით დატვირთული ავტოკარი გზას გაუყენა. ლაბურის მსუბუქი მანქანა სრილით გაჰყვა თინ.


—მეორე დღეს, ინსტიტუტში, სადაც ლაბური ლექციებს კითხულობს, ადგილკომის თავმჯდომარემ ასეთი დებემა მიიღო:

„საპატიო მიზეზის გამო, ამ ზაფხულს სოფლად ვერჩები და სანატორიუმში წასვლას ვერ ვახერხებ. ვთხოვთ საგზური გადასცეთ რომელიმე ავადმყოფს. გვიღობა ლაბური“.


ფასსაღანი



წელს ამაო იმედებმა ტრუმენს გული აუჩრუა, — და დე-გოლიც მიიჩნია ამერიკულ კაუჩუკად! არჩევნების დროს გაჰბერა თავისთავად განახლები... მაგრამ როცა ახალ გასკდა, ხელთ არ დარჩა არაფერი...



მეგობრივი შრომათა კომისიისგან



დ. ანანიძე



ს. თაყაიშვილი და ალ. თორაძე



ზ. კახიძე და მ. ჩხიკვაძე



ოლღოლიძე



მ. გომიზიანი



ქ. მახარაძე და ალ. გომიზიანი

მყურებლის თქლით

არასდროს არ დამეფიწებდა ის დრო, როდესაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კ. კვანტალიანი და ალ. გომიზიანი ესტრადზე ესტრადის მსახიობებს ნიჭურად დასცინოდნენ უკეთესი შესრულებისა და მძაფრ რეპერტუარის გამო.

შობიანებულად აჯავრებდნენ თავიანთ ზოგიერთ თანამოესტრადებს, „ხელაგნებში“ უწუნებდნენ და გახანტული მყურებელი გულნიან იყინოდა.

მაგრამ მას შემდეგ საკმაო ხანმა გაიარა და აი, თვითონ რას მღერობს ამჟამად:

„თუკი იგი, მგობრივო, სამტრედიოს პატივით, ყოველდღე იმ ქვეითი, სანდო და ჭაბჭო, გვიან უკვირებს დავითლ მეთორბეტ სტატილი...“

„სტატუს“ რომ თავი დაეგებნო, ეს მართლაც მხოლოდ ჭაბჭანა და სხვა არაფერი. როგორც მოცხადებენ, ამ „ხუმრობის“ შემსრულებელი ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი კ. კვანტალიანი თვით სამტრედიოთი ვახლავთ, მაგრამ მყურებლის გაცინებამ იმდენად გაიტაცა, რომ სამშობლო ქალაქიც არ დაინდო... მასხრობის გუნებაზე დამღვრ „სტატუს“ ავტორის უმიზნო „მსხვერპლი“ გახდა.

სამტრედიოთი პირდაპირ საგარეუოში მიფრინავენ ჩვენი მსახიობები:

„უბოი ანაში გავლწი, ნიახური ბოსტანიში, ერთი ჭალი გავიკანი, საგარეუოს ფოსტანია...“

ისმენ ამ „სიმღერას“ და მით მერ საგარეუო ფოსტაში გაცნობილი ქალი უფრო გეცოდება, ვიდრე ამ „სახუმარო“ შიახების შემსრულებლები. ერთი სიტყვით, ნიახურს ლეწვენ!

ეს ნიახური მათი თოლი საქმით და პონარობით გატაცებულმა ავტორმა დაუთესა... რეპერტუარზე დამწულმა მსახიობებმა თავი ვიღარ შეიკავეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ შესანიშნავი საესტრადო უნარი და ნიჭი გააჩნიათ, დღესაც ისევ სამტრედიის ქაითებზე და კვერცხებზე უკიბლო ოხუნჯობით იმციკრებენ თავს...

ო, როგორ მინდა მე, ვით მყურებელს და გულ-შემბეჭვარს, ისეთი მაღალი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი, როგორც კვანტალიანი, თავის სამსახურს რომელი ვნახო! მინდა მაგრამ ვერაფრით შეხბარებო...

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვასო გომიზიანმა დიდი ხანია თავი შეაფარა ესტრადის მყურებელს. ერთ დროს ისეთი მონდიობით ვაჭრობდა

ბოდა რეპერტუარის შესა და შესრულებას, რომ ესტრადის მსახიობსაკავშირო კონკურსზე საპატიო ჯილდოც კი დაწერა. მაგრამ ეს ამბავი ისე დაძვედა, როგორც „ძველი თბილისი“, ის „ძველი თბილისი“, ულთაც უკვე ოცამდე წელიწადია უმასპინძლებს მყურებელს.

მარალია ეს ორი წელი გვემის მისი მუსიკალური ფელტონი: „წუთი წარმოვიდინოთ“, მაგრამ ცუდი ამბავი, თუ ერთი წუთით წარმოიდგენს, რომ ეს ფორნიკ ზეპირად ისწავლა მყურებელმა. თვით მშვილმა კიდრო ახლა მანც ზეპირად იცოდეს რეველში არ იყურებოდნენ, როცა მსახიობს მყურებელი დახმას ახსენებს სიტყვებს...

აქვეა ძაგნიძისა და მისი „ჩიტუნია გვირტუნები“, ოღონდ დოლოზობიობით მწლე ოხუნჯობიობის და ალ. თორაძის ზედმეტად გაუზარალებული გამოსვლები.

სტეფანე ჯაფარიძე იგი სალარაქის ყოველგვარი -გენცხადებისა მსამართლოს“ გარეშე გაყვარა, აწელს ვაქმე-ლიტებს“ აწვეს ესტრად

„მე ზალალი გამაქვეს, დამიწერს ბიწერი, მოსვფრა უნდა ვიციდი, ფულს გადვიდა ჭაჭერი, მღელ მინდა რომ წაქალი, ცოლი მიცემს გულაგანი, ჩემს მისლამდე სულ იბიერეს, ცოცხალი პალმენი...“

ისმენ მყურებელი ამ საცოდინობას და ძალაუნებურად ფიქრები გიტაცებს: ისტატები რომ ნაცოდვილობით კმაყოფილებინა, „შევირდები“ რალა დღეში უნდა იყვენ? ის „შევირდები“, რომლებიც ცენტრში გამოსვლას ვერ შედავენ და „ბრმა საქონლის“ გასასლმოდ გარმა მუშტარს“ რაიონებში დაეძებენ?

გავეები ფიქრებს და თვალწინ კითხვით ნიშნების მოივლი წყება აგეტუტება: რა მოივლია ქართულ ესტრადას? ვინ დამართა ეს უხეღურება? შემთხვევითი პირები ხომ არ წერენ ამ ამბარზე რეპერტუარს? ესტრადის „დრამატურობა“ შოგანა-წილჯის საშუალებად ხომ არ აქვთ გადაქველვით? საკიხავი ის ეს არის... მეთხველმა მყურებელს ისე არ გამოიგოს, თითქმის ჩვენს ესტრადაზე მხოლოდ ხალტურა იყოს და-

სადგურებელი. კარგიც საკმაოდ გავაგინია, მაგრამ სუსტად იმდენად სწობობს ძლიერს, რომ ამ ფელტონის დაწერა გამაძებდინა.

ჩვენს ნიჭურ მსახიობებს, რომელთაც ყველა შესძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ სხვა მოძღვრეს-პუბლიკის არც ერთ ოსტატს არ ჩამოუვარდნენ შესრულებაში, შემთხვევით საქმედ ხომ არ მიანჩნით ესტრადაზე მუშაობა? იქნებ თეატრებში როდების ოსტატურად შესრულებით მოაქვეთ თავი და კონცერტებზე გამოსვლა მათთვის მხოლოდ სასხვათაშორისო ამბავია?

იქნებ ჩემი, ესე იგი მყურებლის, ბრალაა, რომ თეატრში მოწონებულ მსახიობს, ხათრითა და სიყვარულით ესტრადაზეც ყველაფერზე ტაშს ეყრავ და ვერ ვაგარბობენ, რომ ცოდვილობა ხელოვნება არ არის და მასხრობა კი-ხუმრობა? ვაღიარებ რომ ბრალი მეც მიმიძებნა.

და დროსა შიგარმა ბრალდებულებმა ისეიგი ესტრადის მსახიობმა და მისი მასალის ავტორებმა ფარანდ ეს დიდი პასუხისმგებლობა, როცა ქართული ესტრადის დღევანდელ დღეზე იმსჯელებენ.

მამყარაშვილი

ძალზე სცხელათ ბავშვებს, მაგრამ სიცხის მადლი არ იცინა... გულუბრყვილოდ კითხულობენ: — ეს ნაყინი რა ღირს, ძია? — გუშინ ვყიდდი ცხრა აბაზად, დილით ათად გამიცია, შუადღისას თერთმეტს მოგთხოვთ, თუ გრადუსმა აიწია!

დელი-მდილაგამი



ნან. გ. ფირცხალავაძე

კომისიის მოლოდინი



დონია

— ბატონო გაბრიელ, დღეს მგონი კომისია მოდის ჩვენს ქარხანაში, ეს ხალიჩა და პალმა გავიტანოთ აქედან. — რატომ, კაცო, ხუთი წელია აქ არის და მაინც მაინც კომისიის დროს გინდა გაიტანო? — მართალია, მაგრამ ეგონებათ, რომ დღეისთვის საგანგებოდ მოვრთეთ ქარხანა და მერე ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედავენ.

მოთხოვნა, რომელმაც მთელი ქალაქი შემოიარა



ზაფხულის თბილი საღამო იყო. მერაბს შუშაბანდიდან აიწიეს ღრუ ფანჯარასთან მაგიდა მიედგა და მოლუშული სახით დაპყრობდა თავის ხელნაწერს. ქუჩიდან შემოქრილი ხმაური ხელს-უხლოდა მუშაობაში, სამაგიეროდ ღია ფანჯარაში მონაწირად ნიავე უგრძობდა გაფლული სახეს.

ნიკიერი ახალგაზრდა იყო მერაბი. ჯერ კიდევ სოფელში, მოწაფეობის დროს დაიწყო წერა და აი, ახლა, თბილისში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე იგი თავის მოთხოვნებს ჩაჰკირკიტებს... იგემა რედაქტორის მკაცრი ხელი. ყველაფერი მოსწონდა უზრუნავის რედაქტორს: მისი მოთხოვნების იდეა, სიუჟეტი, ტიპები, ნაწარმოების პატარა მოცულობაც, მაგრამ...

— ენაზე უნდა იმუშაო, ყმაწვილო, ენაზე! — ეუბნებოდა იგი მერაბს. — შენი გმირები თანამედროვე ადამიანები არიან. შენ ზოტ კარგად იცნობ, და მაინც რალაც გაუგებარი, ხან არქაული და ხან შესს მიერ გამოვლილი სიტყვებით ლაპარაკობენ. კარგი იქნება სანამ აქ მოიტან, მეგობრებს, მეზობლებს და ნათესავებს რომ წაუკითხავდე ნაწარმოებს, უბრალო მკითხველი ბევრ შეცდომას შეამჩნევს და გაგასწორებინებსო. ეს უკანასკნელი შენიშვნა სწყინდა მერაბს, მაგრამ არ იმჩნევდა. სახლში ბრუნდებოდა და მთელი დღეების განმავლობაში მუშაობდა მოთხოვნაზე.

დღესაც, შინ მოსვლისთანავე, კითხვის ნიშნით აღნიშნული სტრიქონები საშლელით გააფრმკრთალა. მერე მელნით გასწორა. მუშაობდა მერაბი და ჯოველი შეცდომის გასწორების შემდეგ სიამოვნებით შლიდა რედაქტორის მიერ წაწერილ დიდ კითხვის ნიშანს. აი, უკვე უკანასკნელი გვერდიც ჩაასწორა. მოთხოვნა ხელახლა გადაიკითხა და მაინც ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა.

— კიდევ რამეს მომიძებნის! — გაიფიქრა მან. მოთხოვნის გვერდები ქინძისთავით შეკრა და მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ნიავს გაეფრილებინა გაოფლილი შუბლი, წამოდგა და ხალათის გადასაცემლად ოთახში შევიდა. როცა უკანვე დაბრუნდა, კინალამ წამოიყვინა: მოთხოვნა მაგიდაზე აღ' იყო. ბავშვივით ჩაცუცქდა, ფეხზე აუღლომლად ბაჯბაჯი დაიწყო, მთელი იატაკი მოათვალიერა, მაგრამ მოთხოვნა არ ჩანდა. მერე წამოდგა და ფანჯარას გადაადგა. ქუჩაში პატარა ბიჭუნა დამდგარიყო, შუბლი ხელისგულით მოეჩრდილა და ზევით იყურებოდა. მიხვდა მერაბი: როცა ხალათის გადასაცემლად კარები გააღო, უცებ ოჩპირმა ქარმა მოთხოვნის გვერდები გადაფურცლა და ღია ფანჯრიდან გადააფრინა. მერაბმა თვალის დახამხამებაში ჩაიჩრბინა სამი სართული...

— სად არის რეფული? — რატომღაც მრისხნედ ჰკითხა მან ბავშვს.

— ტრამვაის სახურავზე დავარდა, ძია. — შეშინებული ხმით უპასუხა ბიჭუნამ. მერაბს გაკვირვებისგან შუბლი დაუფიწროვდა.

— მერე?

— მერე და ტრამვაიმ წაიღო, ვატმანს დავუყვირე, მაგრამ ვერ გაიგონა, — ხმა აუკანკალდა ბავშვს.

— აი, სერიც ამას ჰქვია! — ამოიგმინა მერაბმა და ლიანდაგების მიმართულებით გაიქცა. უცებ შედგა.

— რომელი ნომერი იყო, ბიჭო?

— ხუთი, ძია!

პუშკინის მოედანზე სულმოუთქმელად აღ ირბინა მერაბმა.

— რის წიგნი, რა რეფული? — გაკვირდნენ ვატმანები. — ახლა ის-ღა აკლია ჩვენს ტრამვაის, ქურდობა დააბრალოთ.

დალონებული მოდიოდა სახლისკენ და ფიქრობდა: „რატომ ისევ აივანზე არ შევბრუნდი, იქიდან დავინახავდი ყველა ტრამვაის სახურავსო“.

ამ შემთხვევის შემდეგ ხუთმა დღე გაიარა. მერაბმა უკვე ახალი მოთხოვნის დაწერაც მოასწრო და ისევ ქურნალის რედაქციაში გამოცხადდა.

— კარგ დროს მოხვედი, მერაბ! — შემოეგება რედაქციის ერთ-ერთი თანამშრომელი. — ამ წუთში გილაც ახალგაზრდა იყო აქ და აი, ეს მოიტანა, შენ დაგიკარგავს მგონი.

მერაბმა იცნო თავისი მოთხოვნა.

— რაო, სად ენახეთ?

— არ ვიცი, მგონი ქუჩაში უნახავს.

„ქუჩაში, რა თქმა უნდა... — წარმოთქვა ჩუმად მერაბმა. — ვინ იცის რომელ მოსახვევში მოიქნია და მოძულეპულივით გადაისროლა ტრამვაიმ“.

— იმ დღესვე მინდოდა მოტანაო. — განაგრძობდა თანამშრომელი. — მაგრამ მამამ გადაიკითხა, მერე მე და დედამ, ბოლოს მეზობლებმა და ამხანაგებმაც კი ინათხოვერესო.

— ბიჭოს, მართლა? აბა, მთელი ქალაქი შემოუვლია ჩემს მოთხოვნას. — დაუფარავი სიამოვნებით წარმოთქვა მერაბმა, და თითქმის სირბილით მოაშურა ბაღს. მამინვე ფურცლა დაუწყო მოთხოვნას. — „ეს რა უქნიათ, როგორ გადაუჭრელებიათ სტრიქონები“. — ბუტბუტებდა იგი.

უცნობ მკითხველებს ფანქით, ზოგან კი მელნით გადაეშალათ სიტყვები და იქვე წერილი ასობით ჩამატებინათ და გაესწორებინათ. ქა-



დავტოვებ თბილისს! ჩემმა მზემ
თუ ასე გზნებით მიყურა!
ცოლმა დაუშვა ფარდები,
შვილმა დარაბა მიხურა.
გამოველ, დამხვდა ქუჩაზე
კოლორიტული ფიგურა!

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი,
შეიქნა აყალ-მაყალი,
ქუჩის გამოღმა მე დავჩი,
გაღმა—ის მაღალ-მაღალი!
ამ ორთა ბრძოლას შევწირე
პერანგი ახალთახალი!

ის, როგორც წმინდა ილია,
აღბათ ცის ბინადარია.
ჩვენთან წვიმს კოკისპირულად,
მასთან მზიანი დარია.
კაცი ვარდით მოირწყოს?
რომელი სამართალი!

გოგოთურ მიგრიაული

ლის, მოხუცის და ერთ ადგილზე ბავშვის ხელიც კი იცნო. ლელავდა,
სახეზე აღმუხრი ასდიოდა მერაბს, მაგრამ... ენობრივად გამართული
სტრიქონები, თანდათან კეკუაში უჯდებოდა.

* *

— აი, ეს მესმის, შესანიშნავი მოთხრობა გამოვიდა, ყმაწვილო, ახ-
ლა უკვე მომწონს შენო ქართული!—წარმოთქვა რედაქტორმა და მაგი-
დის მოპირდაპირე მხარეზე ჩამოქვდა მერაბს მრავალმნიშვნელოვნად
გაუღიმა, თითქოს ეკითხებოდა: „რაშია საქმე, ასე ერთბაშად როგორ გა-
მოაკეთე ნაწარმოებო“.

მერაბი წამოდგა.

— თქვენ არ დაიჯერებთ, იცით რა დამემართა?

— ვიცით...—დინჯად ჩამოართვა სიტყვა რედაქტორმა..

— ჩემმა მოთხრობამ მთელი ქალაქი მოიარა...—თქვა თავდახრით მე-
რაბმა.—ხალხს ჩემზე კარგად ცოდნია ენა...

— კი მაგრამ, ყმაწვილო, მოთხრობა სად მიგაქეთ, მე მისი დაბეჭდ-
ვა გადგვიწყვიტე!— მიმართა წასასვლელად გამზადებულ მერაბს რედაქ-
ტორმა და ხელგაწვდილი მიუახლოვდა.

— არა, ბატონო, მე მსურს ამ შესწორებებს ჩავუკვირდე, ჩემებუ-
რად გადავამუშაო მასალა და შემდეგ... შემდეგ შეიძლება...—წარმოთქვა
მერაბმა, რედაქტორს ხელმეორედ დაუკრა თავი და დერეფანში სწრაფად
გავიდა.

მდივანი ყიზიანი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ო. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилис. Сатирико-юмористический журнал „Ниянგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 2/VII სტამბა „ზარია ვოსტოკა“ რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1384. გამოც. № 12, ტირ. 11.000. უფ3615



ამერიკელი ძია ნაპიჯარებს

— ჩემს წყალში რომ თქვენ ნებივრობთ, სერ, მე სადღა ვიბანაო?

— ჩრდილო ატლანტიკის... კავშირში.

